ასაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2015 წლის ანგარიში



ს ა რ ჩ ე ვ ი

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესახებ 4

1. **აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები** 8

2. **ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების უზრუნველყოფის მექანიზმები**
   - ❖ ინსტიტუციური ავტორიზაცია 10
   - ❖ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია 11
   - ❖ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტები და მათი გამოცდილება 12
   - ❖ პროგრამების შუალედური მონიტორინგი 14
   - ❖ საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი 14
   - ❖ „GAP-ანალიზის“ საფუძველზე მარეგულირებელი დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება 15
   - ❖ ყოველკვირეული შეხვედრები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიმოცვლის მიზნით 15
   - ❖ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობა სასწავლო რესურსებით პროგრამების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით 15

3. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება** 16
   - ❖ ახალი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავება და არსებულის მოდიფიცირება 17
   - ❖ ყოველკვირეული შეხვედრები და ტრენინგები აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან 19
   - ❖ დიპლომის დანართების შევსება/გაცემის სისტემის დახვეწა 21
   - ❖ ტუტორების ინსტიტუტის შექმნა 21
   - ❖ საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი 24
   - ❖ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის მონაცემთა ანალიზი და შეფასება 25
   - ❖ განათლების ხარისხის მონიტორინგი 27

4. **პროფესიული პროგრამების განვითარება** 32
   - ❖ მოდულური პროფესიული პროგრამების შემუშავება და დანერგვა 33
   - ❖ საგნობრივი პროფესიული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა 34
   - ❖ შეხვედრები პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან და დაინტერესებულ პირებთან 34
   - ❖ თანამშრომლობა აწსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრთან 36
   - ❖ თანამშრომლობა პროფესიული განათლების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან 36

5. **საჯაროობა და ინფორმაციის დისემინაცია** 37
- ❖ ანგარიშის წარდგენა გაწეული სამუშაოს შესახებ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე 38
- ❖ სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტების ადმინისტრაციულ და დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალთან 38
- ❖ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდის სეგმენტის განახლება და ინგლისურენოვანი ვერსიის დახვეწა 39
- ❖ საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლების შექმნა პირველკურსელთათვის, მობილობის მსურველთათვის, უცხოელი სტუდენტებისათვის 39
- ❖ თანამშრომლობა სოციალური ქსელში აწსუ-ს ოფიციალურ გვერდთან და ინფორმაციისა და სიახლეების პერმანენტულ რეჟიმში მიწოდება 41
- ❖ ფსიქოლოგი უცხოელი სტუდენტებისათვის 42
- ❖ თანამშრომლობა განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებთან და ფონდებთან 42

6. **ინტერნაციონალიზაცია** 44
- ❖ აქტიური ჩართულობა Erasmus+/ Tempus პროგრამების მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებში 45
- ❖ საერთაშორისო კონტაქტები ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებითა და აწსუ-ს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით 47
- ❖ ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში/სემინარებში/დებატებში საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციისა და „საუკეთესო პრაქტიკის“ გაზიარების მიზნით 48
- ❖ საერთაშორისო კონფერენცია HENTI-2015–“*Higher Education–New Technologies and Innovations*“ 50
- ❖ ფაკულტეტის ხუს-ების უფროსებისთვის/ტუტორებისთვის აკადემიური-/ადმინისტრაციული პერსონალისთვის უცხო ენის ცოდნის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა (ინგლისური ენის სწავლება) 53

გამოყენებული ლიტერატურა 54



უნივერსიტეტში განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, რომელსაც წარმართავს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყოველდღიური საქმიანობა და, ამავდროულად, უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა პირის პასუხისმგებლობაა.

ხარისხის კულტურის განვითარება აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრიორიტეტია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას თითოეული ფაკულტეტის თავისებურებების გათვალისწინებითა და მისი ავტონომიურობის დაცვით, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებლობას შეთანხმებულ ფარგლებში.

<u>2016-2017 წლის აქცენტები:</u>

- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება;
- პროფესიული სწავლების საუნივერსიტეტო სტრატეგიების შემუშავებაში ჩართულობა;
- სამეცნიერო კვლევების პოლიტიკის საუნივერსიტეტო სტრატეგიების შემუშავებაში ჩართულობა;
- აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (ტრენინგები და გადამზადება);
- უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის მზადება;
- სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შეფასების მექანიზმების შემუშავება და მეცნიერული კვლევების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო და ეროვნულ პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა.

პატივისცემით,
ირმა გრძელიძე
აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესახებ

საქართველოს უნივერსიტეტებში ხარისხის სამსახურის ჩამოყალიბების ისტორია იწყება 2004 წლიდან, როცა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება დაექვემდებარა ახალ საკანონმდებლო რეგულირებას. აღნიშნული კანონის მიხედვით განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტის მართვის ორგანოები: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიქმნა 2006 წელს, როდესაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სსიპ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და გაერთიანების შედეგად შეიქმნა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გაერთიანების შედეგად, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვისა და განვითარების სამსახურმა, რომელსაც დოც. ი. ბასილაძე ხელმძღვანელობდა, რეორგანიზაცია განიცადა. შედეგად ჩამოყალიბდა აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად ასოც. პროფ. დ. ლეკვეიშვილი დაინიშნა. 2007 წლის დეკემბერში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად არჩეული იქნა პროფ. კ. სირბილაძე.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლებისა და სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებისა და საკუთარი დებულების შესაბამისად. სამსახუ-

რი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით: კომპლექსურად იყენებს განათლების ხარისხის გარე შეფასების სისტემას და შიდა შეფასების პროცედურებს; კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, წარმართავს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის მოსამზადებელ და მიმდინარე პროცესებს; ხელს უწყობს ბოლონიის პროცესის პრინციპების დანერგვას, სწავლების და კვლევის ხარისხის მაღალი დონის მიღწევას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, საერთაშორისო და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციას; ატარებს ღონისძიებებს უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2011 წლის იანვარში აწსუ-ს მიუერთდა სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რის შედეგად აწსუ დასავლეთ საქართველოს უდიდესი და მრავალპროფილიანი უნივერსიტეტი გახდა.

ამჟამად აწსუ-ს ხარისხის სამსახურის წინაშე განსაკუთრებული გამოწვევები დგას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების სრულყოფის, საგანმანათლებლო საქმიანობის შიდა შეფასების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების მხრივ.

2015 წლიდან აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობაში დეცენტრალიზების მიდგომის დანერგვამ სტრუქტურის ცვლილება გამოიწვია. სამსახურში შემავალი ანალიტიკური განყოფილების ფუნქციები (სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა და შედეგების ანალიზი, საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური უზრუნველყოფის მონიტორინგი) გადავიდა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურების კომპეტენციებში. შესაბამისად, აწსუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების გაძლიერების მიზნით გაიზარდა სპეციალისტის საშტატო ერთეულები ფაკულტეტის სტუდენტთა რაოდენობის, აკადემიური პროგრამებისა და პერსონალის პროპორციულად.

2015 წლიდან აწსუ-ს ფაკულტეტებმა დამოუკიდებლად გამოიყენეს ხარისხის მონიტორინგისა და შიდა შეფასების ინსტრუმენტები: სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი, მიღებული შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა გააძლიერეს თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, გაიზარდა პროგრამის ხელმძღვანელების როლი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაში, პროგრამების SWOT ანალიზის შესრულებაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა, 2012-2015



აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა 2015 წლიდან



ამონარიდი

აწსუ-ს წესდება, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N 132/ნ, 2013 წლის 9 სექტემბერი, ქ. თბილისი.

„2. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:**

ა) რეგულარულად აფასებს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
ბ) ახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს.
გ) თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის მონიტორინგის და უზრუნველყოფის სრულყოფილი მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;
დ) ამზადებს უნივერსიტეტს ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.“

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მმართველობითი აპარატი:

ირმა გრძელიძე - აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
ნატო ალავიძე - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი.
მურთაზ სვანიძე - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების პროფესიული სექტორის უფროსი;
მათე ხვედელიძე - მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის უფროსი;
თეიმურაზ სურგულაძე - დოქტორანტურის განყოფილების უფროსი, პროფესორი;
ინგა აბრამიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
ნანა შონია - ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნანა ჯულაყიძე - ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.
გულნარა შელია - ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
მამულო ბუჭუხიშვილი - პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
პაატა გერაძე - საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
ციცინო თურქაძე - საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
მარიეტა თაბაგარი - აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
მანანა ფხაკაძე - საზღვაო-სატრასპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

2015 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა მრავალი აქტივობა, რომლებიც მიმართული იყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფისაკენ. მათ შორის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენენ:

- ☑ ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ☑ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება;
- ☑ საჯაროობა და ინფორმაციის დისემინაცია;
- ☑ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- ☑ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში მონაწილეობა.

1. აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით ხელს უწყობს უნივერსიტეტს სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტის განვითარებისთვის საჭირო დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ციკლური პროცესის სახით, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება *(Planning, Implementing, Reviewing and Improving - PIRI).*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2015



ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება

- ✓ პროგრამების SWOT ანალიზი
- ✓ ტუტორების ინსტიტუტის შექმნა
- ✓ ყოველკვირეული შეხვედრები და ტრენინგები აკადემიურ პერსონალთან
- ✓ დიპლომის დანართების შევსება/გაცემის სისტემის დახვწა
- ✓ ახალი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავება და არსებულის მოდიფიცირება
- ✓ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის მონაცემთა ანალიზი და შეფასება
- ✓ განათლების ხარისხის მონიტორინგი

- ➢ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ
- ➢ მობილობის შესახებ
- ➢ პროგრამების ელ-კატალოგის შექმნის შესახებ;
- ➢ დიპლომებისა და მისი დანართების გაცემის შესახებ;
- ➢ თანამდებობრივი ინსტრუქციების შექმნის შესახებ;
- ➢ ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესის შესახებ;
- ➢ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ.

- ➢ სტუდენტთა გამოკითვა;
- ➢ კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევები;
- ➢ აკადემიური პერსონალის თვითშეფასება;
- ➢ დამსაქმელის შეფასება და მათთან უკუკავშირის დამყარება;
- ➢ აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ➢ დიპლომის დანართების შევსება/გაცემის პროცედურების მონიტორინგი;
- ➢ აუდიტორული მუშაობის აღრიცხვის ჟურნალების შემოღება;
- ➢ დოქტორანტების კმაყოფილების კვლევის ანალიზი.

პროფესიული პროგრამების განვითარება

- ✓ შეხვედრები პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან და დაინტერესებულ პირებთან
- ✓ აწსუ-ს აკადემიური პერსონალის აქტივობა მოდულური პროგრამების ახალი სტანდარტებისა და ჩარჩო-დოკუმენტების შემუშავებაში
- ✓ თანამშრომლობა აწსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრთან
- ✓ მოდულური პროფესიული პროგრამების შემუშავება და დანერგვა
- ✓ თანამშრომლობა პროფესიული განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებთან და ფონდებთან
- ✓ საგნობრივი პროფესიული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა

ავტორიზაცია/ აკრედიტაციის სტანდარტების უზრუნველყოფის მექანიზმები

- „GAP-ანალიზის“ საფუძველზე მარეგულირებელი დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება
- ✓ ყოველკვირეული შეხვედრები ფაკულტეტის ხუს-ებთან ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიმოცვლის მიზნით
- ✓ პროგრამების SWOT ანალიზი
- ✓ პროგრამების შუალედური მონიტორინგი
- ✓ აწსუ-ს ექსპერტთა კორპუსის დახმარებით პროგრამათა შერჩევითი „აკრედიტაციის“ განხორციელება
- ✓ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობა სასწავლო რესურსებით პროგრამების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით

ინტერნაციონალიზაცია

- ✓ ხუს-ის აქტიური ჩართულობა ERASMUS + და TEMPUS-ის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებში
- ✓ საერთაშორისო კონფერენციის HENTI-2015 – “Higher Education – New Technologies and Innovations“ - ორგანიზება
- ✓ საერთაშორისო კონტაქტები ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებითა და აწსუ-ს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით
- ✓ ხუს-ის ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და დებატებში საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციისა და „საუკეთესო პრაქტიკის“ გაზიარების მიზნით
- ✓ ფაკულტეტის ხუს-ების უფროსებისთვის/ტუტორებისთვის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის უცხო ენის ცოდნის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა (ინგლისური ენის სწავლების ორგანიზება)

საჯაროობა და ინფორმაციის დისემინაცია

- ✓ გაწეული მუშაობის ანგარიშები აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე
- ✓ სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტის ადმინისტრაციულ და დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალთან
- ✓ საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლების შექმნა პირველკურსელთათვის, მობილობის მსურველთათვის, უცხოელი სტუდენტებისათვის
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდის სეგმენტის გაახლება და ინგლისურენოვანი ვერსიის დახვეწა
- ✓ თანამშრომლობა განათლების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან
- ✓ თანამშრომლობა სოციალური ქსელის აწსუ-ს ოფიციალურ გვერდთან და ინფორმაციისა და სიახლეების პერმანენტულ რეჟიმში მიწოდება



2. ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების უზრუნველყოფის მექანიზმები

❖ ინსტიტუციური ავტორიზაცია

2010 წელს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემოღებული იქნა ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის სისტემა. 2010 წლიდან აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიწყო აქტიური სამუშაოები ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბამისი შიდა შეფასების სისტემის დანერგვისათვის.



„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ავტორიზაცია არის „უსდ-ს სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა". შესაბამისად, მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს სახელმწიფოს მიერ

აღიარებულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - დიპლომს.

ავტორიზაცია სავალდებულოა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაცია ენიჭება 5 წლის ვადით.

ავტორიზაციის მოსაპოვებლად დაწესებულებამ უნდა დააკმაყოფილოს სამი სტანდარტი:

1. საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული უნდა იყოს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია, შესაბამისი კვალიფიკაცია და ა.შ.

2. მატერიალური რესურსი. აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში უნდა ჰქონდეს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ფართი, ბიბლიოთეკა, ვებ-გვერდი და ა.შ.

3. ადამიანური რესურსი. სტანდარტი დაწესებულებას ავალდებულებს ჰყავდეს დაკავებული თანამდებობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისინი შერჩეული უნდა იყვნენ კანონმდებლობის შესაბამისად და ა. შ.

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, განსხვავებულია ავტორიზაციის სტანდარტების შინაარსი.

2011 წლისიდან 7 ნოემბერს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს № 82 გადაწყვეტილებით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა. ამავე გადაწყვეტილებით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვრა 11 312 სტუდენტით, ხოლო პროფესიული სტუდენტების რაოდენობა - 812 სტუდენტით (საერთო რაოდენობის ფარგლებში).

❖ აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

აკრედიტაცია არის საგანმანათლებლო პროგრამის კანონმდებლობით დაწესებული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიხედვითაც ფასდება საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხი. აკრედიტაციის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. აკრედიტაციის საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას ეძლევა სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება ანუ სახელმწიფო სასწავლო გრანტით ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით სტუდენტების ჩარიცხვის უფლება. საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია ენიჭება 5 წლის ვადით.

საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის მისანიჭებლად უნდა აკმაყოფილებდეს აკრედიტაციის შემდეგ სტანდარტებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
3. მოსწავლეების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესი ნაწილი 2011-2012 წლებშია აკრედიტებული. დღეისათვის აწსუ-ში აკრედიტებულ რეჟიმში მოქმედებს 43 საბაკალავრო, 53 სამაგისტრო, 32 სადოქტორო, 3 ერთსაფეხურიანი პროგრამა, ასევე მასწავლებლის მომზადების (ერთწლიანი) და ქართულ ენაში მომზადების პროგრამები და 5 დამოუკიდებელი და 34 დამატებითი (მაინორ) პროგრამები.

აწსუ-მ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება 2011 წელს მიიღო. ამჟამად აწსუ-ში ხორციელდება მეოთხე და მეხუთე საფეხურის 56 საგნობრივი პროფესიული პროგრამა.

2015 წელს აკრედიტაცია გაიარა ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო და გერმანული ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამებმა. ასევე, 2015 წელს, ავტორიზაციის თვითშეფასების წარდგენით პროგრამის დამატების რეჟიმში უნივერსიტეტმა დაიმატა პირველი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა "ბიოსამედიცინო ინჟინერია" და 11 მოდულური პროფესიული პროგრამა.

❖ აწსუ-ს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტები და მათი გამოცდილება

2010 წელს, პროგრამული აკრედიტაციის პროცესების დაწყებასთან ერთად, განათლების განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შექმნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი, რომელიც ეტაპობრივად განიცდიდა შევსებასა და განახლებას. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან ექსპერტთა კორპუსში ირიცხება 11 პროფესორი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინოვაციური პოზიციაა მათი გამოცდილების გამოყენება აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებასა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებაში. აღნიშნული მიდგომით მიღწევა აწსუ-ს ექსპერტების, როგორც „გარე შემფასებლების" ჩართვა შეფასების პროცესში, რაც დადებითად აისახება პროგრამების ხარისხის განვითარებაზე.

აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტები და მათი გამოცდილება

	სახელი და გვარი	ფაკულტეტი და აკადემიური თანამდებობა	საექსპერტო სფერო
1.	ირმა გრძელიძე	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი	უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი HERE, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის გარე მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის სპეციალისტი
2.	ნატო ალავიძე	მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი	უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია და უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, პროფესიული პროგრამების განვითარების პროგრამის ფასილიტატორი
3.	კოტე სირბილაძე	საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, პროფესორი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, ავტორიზაციის საბჭოს წევრი
4.	დავით გეგეჭკორი	ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია
5.	ირინა ფხაკაძე	მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი	უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია
6.	ნანა შარაბიძე	აგრარული ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი	უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია და უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია
7.	ქეთევან კინწურაშვილი	აგრარული ფაკულტეტი, პროფესორი	პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია
8.	ციცინო თურქაძე	საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, პროფესორი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია
9.	თეიმურაზ კოჩაძე	საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი, პროფესორი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია
10.	ნანა შონია	ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია
11.	თამარ ვალიშვილი	მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი	უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია და უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, პროფესიული პროგრამების განვითარების პროგრამის ფასილიტატორი.

❖ პროგრამების შუალედური მონიტორინგი

აწსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების მონიტორინგი მიმართულია პროგრამების შინაარსობრივი მხარისა და სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. ამასთან, მისი მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტის სრულყოფა, პროგრამების გაუმჯობესების მხრივ განხორციელებული ცვლილებების მიხედვით.

2015 წელს აკადემიური პროგრამების განყოფილების მიერ განმეორებით გაანალიზდა 2011-2012 წლებში ჩატარებული აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დოკუმენტაციისა და მასში წარმოდგენილი ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები. რეკომენდაციები დაჯგუფდა სპეციფიკის მიხედვით. ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებისა და შესაბამისად პროგრამების სრულყოფის მიზნით, აკადემიური პროგრამების განვითარების განყოფილებამ ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამების შუალედური მონიტორინგი და შეიმუშავა რიგი რეკომენდაციები.

აღნიშნული მონიტორინგის ერთ-ერთი შედეგი იყო რეკომენდაცია კურიკულუმისა და სილაბუსების განახლებული ფორმებით წარმოდგენის შესახებ, რაც რეალიზებულ იქნა აწსუ-ს შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

პროგრამების შუალედური მონიტორინგის ფარგლებში მოხდა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების ელექტრონული ვერსიების შექმნა-განახლება, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახურები და შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელები.

❖ საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი

2015 წლისათვის ცვლილებები შევიდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმაში.

შინაარსზე ორიენტირებული თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის მიზნით აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში მოთხოვნილ იქნა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (SWOT ანალიზი ან/და სხვა) ამსახველი დოკუმენტაცია.

2015 წელს, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების პროცესებში ფართო ჩართულობისა და შინაარსობრივი მხარის გაძლიერების მიზნით, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგობრივი დეპარტამენტების მონაწილეობით პირველად დაინერგა პროგრამების SWOT ანალიზის პროცედურა, როგორც სტატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი. (აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცელი ინფორმაცია იხილეთ თავი 3-ში).

❖ „GAP-ანალიზის“ საფუძველზე მარეგულირებელი დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება

„GAP-ანალიზის“ მეთოდოლოგიის გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების შედარება ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ პუნქტებთან. ანალიზის შედეგები რეკომენდაციებით გადაეცათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, შემდგომი რეაგირებისათვის.

❖ ყოველკვირეული შეხვედრები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიმოცვლის მიზნით

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში რეგულარულად ტარდება შეხვედრები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან, სადაც იხილება შიდა განათლების ხარისხის გარე და შიდა შეფასებების დაგეგმვისა და მონიტორინგის, საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისა და გაუმჯობესების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მართვის საკითხები. სხდომაზე მიიღება კოლეგიალური გადაწყვეტილებები და ისახება ყოველკვირეული სამუშაოს გეგმები და ვადები. 2015 წლის განმავლობაში ჩატარებულია 35 სხდომა, რომელთა ოქმები ელექტრონული სახით ეგზავნებათ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს.

❖ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობა სასწავლო რესურსებით პროგრამების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით 2015 წელს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება № 78 (14/15) „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციის“ შესახებ, რომლის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის წარდგენისას აუცილებელია წარმოდგენილ იქნას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დადასტურება, რომ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა ფიქსირდება ბეჭდური ფორმით ან ელექტრონულ მატარებლებზე.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაუმჯობესდა პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის კონტაქტი აწსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასთან ლიტერატურის ახალი გამოცემების შეძენისა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრების მიზნით. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალის მიერ სილაბუსების გადამუშავების დროს დაისახა სასწავლო კურსების ელექტრონული სახელმძღვანელოების შემუშავებისა და წარდგენის გეგმები.



3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ღონისძიებები საწყის ეტაპზე უფრო მეტად კონცენტრირებული იყო ფორმალური მხარეებისა და დოკუმენტების შემოწმებაზე და ნაკლებ ყურადღება ეთმობდა შინაარსის, რეალური შედეგებისა და პროცესების შეფასებას.

2015 წლიდან აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცენტრირება მოხდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწასა და განვითარებაზე, რომელიც



განხორციელებული აქტივობები:

- ახალი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავება და არსებულის მოდიფიცირება;
- ყოველკვირეული შეხვედრები და ტრენინგები აკადემიურ პერსონალთან. პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან;
- დიპლომის დანართების შევსება/გაცემის სისტემის დახვეწა;
- ტუტორების ინსტიტუტის შექმნა;
- აწსუ-ს პროგრამების SWOT ანალიზი;
- სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის მონაცემთა ანალიზი და შეფასება;
- განათლების ხარისხის მონიტორინგი.

ორიენტირებულია შემდეგ საკითხებზე: საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გამართულობა; ახალი საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების პროცედურები; საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება და ყოველწლიური ანგარიშები; სტუდენტთა გამოკითხვა სწავლების პროცესისა და აკადემიური პერსონალის შესახებ და მათი მოსაზრებების გათვალისწინება; აკადემიური პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა; სასწავლო რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სტუდენტთა მომსახურების მექანიზმების განვითარება და სხვ.

❖ ახალი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავება და არსებულის მოდიფიცირება

2015 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით შეიქმნა და მოდიფიცირდა შემდეგი მარეგულირებული დოკუმენტები:

1.	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ	➔ http://doc.atsu.edu.ge/geo/xarisxi/geo/xarisxis%20sistema-15.pdf
2.	მობილობის შესახებ	➔ http://doc.atsu.edu.ge/geo/xarisxi/geo/mobiloba.pdf
3.	პროგრამების ელექტრონული კატალოგის შექმნის შესახებ	➔ http://doc.atsu.edu.ge/geo/gancxadebebi/ATSU_Catalogue.pdf. ➔ http://doc.atsu.edu.ge/geo/gancxadebebi/profeskat.pdf. ➔ http://doc.atsu.edu.ge/geo/gancxadebebi/axali%20profesiulebi-%20samagistro.pdf.
4.	დიპლომებისა და მისი დანართების გაცემის შესახებ	➔ აწსუ-ს ბრძანება #01-04/33; 24.06.2015
5.	თანამდებობრივი ინსტრუქციების შექმნის შესახებ	➔ ტუტორისა და სპეციალისტის უფლება-მოვალეობები ➔ პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები (აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება № 78 (14/15))
6.	ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესის შესახებ	➔ http://doc.atsu.edu.ge/geo/xarisxi/geo/ertoblivi%20programebis-wesi.pdf
7.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ	➔ http://doc.atsu.edu.ge/geo/xarisxi/geo/profesiuli%20wesi.docx

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებას პირველადი რგოლების დონეზე მნიშვნელოვნად განაპირობებს პროგრამის ხელმძღვანელების მოტივაცია, მზაობა და უფლება-მოვალეობების სრულფასოვანი რეალიზაცია. შესაბამისად, აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებაში № 78 (14/15) პროგრამის ხელმძღვანელის უფლება--მოვალეობების გაწერა წინგადადგმული ნაბიჯია ხარისხის კულტურისა და შიდა მექანიზმების განვითარებისათვის. გთავაზობთ ამონარიდს აღნიშნული დადგენილებიდან:

„პროგრამის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელები:

12.1. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ემერეტუსი; განსაკუთრებულ

შემთხვევებში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამას შეიძლება ჰყავდეს რამოდენიმე ხელმძღვანელი თუკი პროგრამა არის დარგთაშორისი (ინტერდისციპლინარული), ან პროგრამას გააჩნია სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების მოდულები.

12.2. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა.

12.3. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე და სილაბუსების ხარისხზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პასუხისმგებელია მის მიერ წაკითხული აკადემიური კურსის სილაბუსის ხარისხზე.

12.4. პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

12.5. პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: კოორდინირება გაუწიოს სტუდენტებისათვის კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

12.6. სწავლების ერთ საფეხურზე (საბაკალავრო (დამატებითი), სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის) ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას”.

❖ ყოველკვირეული შეხვედრები და ტრენინგები აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან

აწსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, ფაკულტეტების დეკანების, დეპარტამენტების ხელმძღვანელების, პროგრამების ხელმძღვანელების და სხვა დაინტერესებული პირებისათვის დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრების ციკლი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, შეფასების, გაუმჯობესების და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების მომზადების საკითხებზე.

აღნიშნული შეხვედრების ციკლში სულ გაიმართა 10 შეხვედრა შემდეგი თემატიკებით:

1. საგანმანათლებლო პროგრამები, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები;
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები და მათი კავშირი სწავლის შედეგებთან;
4. უცხოენოვანი პროგრამები, ერთობლივი პროგრამები, პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;
5. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, სასწავლო გეგმა, კომპეტენციათა რუქა, სასწავლო კურსის სილაბუსი; საგანმანათლებლო პროგრამის SWOT ანალიზი;
6. სწავლის შედეგები;
7. სწავლების მეთოდები და მათი კავშირი შეფასების სისტემასთან; სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
8. სწავლებისა და სწავლის მეთოდები;
9. ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები და კონტროლი;
10. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებისათვის საჭირო თანმხლები დოკუმენტაცია. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობის შესახებ.

აღნიშნულ შეხვედრებს უძღვებოდნენ ადგილობრივი და მოწვეული ექსპერტები. შეხვედრების პერიოდში დახვეწილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის, კურიკულუმის, სასწავლო გეგმისა და სასწავლო კურსის სილაბუსის ერთიანი საუნივერსიტეტო ფორმები. შეხვედრების ფარგლებში, 2015 წლის დეკემბრის თვეში, მოსმენილ იქნა აწსუ-ის ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსების შუალედური ანგარიშები. ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარე შეხვედრებს დაესწრო 150-მდე მსმენელი, რომელთაც დაეგზავნათ ყველა შეხვედრის ანგარიში თანდართულ მასალებთან ერთად.

შემაჯამებელი შეხვედრის მონაწილეებს დაურიგდათ კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ჩატარებული აქტივობის ანალიზი, კითხვარები მოიცავდა შემდეგ სეგმენტებს: თემის აქტუალურობა, მიწოდებული მასალის რელევანტურობა და ფასილიტატორების მიერ შეხვედრის წარმართვის ეფექტურობა.

კითხვარი ასევე მოიცავდა განხილვისათვის სასურველი თემატიკის მითითების შესაძლებლობას, რაც უნდა გაითვალისწინოს აწსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეხვედრების შემდგომი ეტაპის დაგეგმვის დროს. შეხვედრის ყველა მონაწილეს და ფასილიტატორებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

❖ დიპლომის დანართების შევსება/გაცემის სისტემის დახვეწა

აწსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებისათვის ქ. ფოთში, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის ბაზაზე, ჩატარდა გასვლითი სემინარი, სადაც განიხილეს დიპლომის დანართების ფორმების მოდიფიცირების საკითხები და მათი შევსების თავისებურებები.

სემინარის შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით, შემუშავდა „აწსუ-ს კურსდამთავრებულთათვის დიპლომისა და დიპლომის დანართების ერთდროული გაცემისა და მათი მომზადების წარმართვის პროცედურები“, რაც აისახა აწსუ-ს შესაბამის ბრძანებაში #01-04/33; 24.06.2015, ასევე განისაზღვრა პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

❖ ტუტორების ინსტიტუტის შექმნა

2015 წლის სექტემბერში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ტუტორების ინსტიტუტი, რომლის მიზანია სტუდენტის აქტიური ჩაბმა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში.

ტუტორი არის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შერჩეული პირი, რომელიც ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს უწევს კონსულტაციებს. ტუტორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე. ტუტორად შეირჩევა ფაკულტეტის დოქტორანტი, ან მაგისტრი, ან IV კურსის წარჩინებული სტუდენტი, რომელიც კომპეტენტურია სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში, აქვს სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე აქვს უცხო ენის კომპეტენცია.

ტუტორების რაოდენობას მიმართულებების მიხედვით ყოველი სემესტრის დასაწყისში განსაზღვრავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ტუტორების საქმიანობის მონიტორინგს ახდენს ფაკულტეტის დეკანი. ტუტორებს რეგულარულად ხვდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახური და უზრუნველყოფენ საერთო სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას.

ტუტორთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელიც

- წარმართავს მის მუშაობას, განსაზღვრავს მათი საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
- გეგმავს და ანაწილებს სამუშაოს ტუტორებს შორის კომპეტენციებისა და ფუნქციების შესაბამისად;
- უზრუნველყოფს ფაკულტეტის ტუტორებისათვის თემატური ტრეინინგების ჩატარებას უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად.

ტუტორის ამოცანებია:

- სტუდენტის სასწავლო პროცესზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწორად ორიენტირება.
- სტუდენტის ინტელექტუალური განვითარებისათვის ხელშეწყობა.

ტუტორის ფუნქციები და ვალდებულებებია:

1. სტუდენტის მიზანმიმართული ჩართვა სასწავლო პროცესში;
2. სასწავლოპროცესთანდაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
3. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოწყობა სტუდენტებთან ყოველი სემესტრის დასაწყისში;



4. სტუდენტებისათვის დახმარების აღმოჩენა ინდივიდუალური ცხრილის ფორმირებისას;
5. კონსულტაცია შეთავაზებული სასწავლო კურსების სტატუსთან და მათი არჩევის რიგითობასთან დაკავშირებით;
6. სასწავლო კურსების შერჩევა მათი პროგრამული და შინაარსობრივი თავსებადობისა და სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით;
7. პირველკურსელი სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება:
   - ✓ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;
   - ✓ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
   - ✓ ძირითადი (major) და დამატებითი (minor) სპეციალობების შესახებ;
   - ✓ კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის – სავალდებულო და თავისუფალი კრედიტების, სემესტრის განმავლობაში შესასრულებელი კრედიტების

ზღვრული ოდენობის, კონკრეტული სასწავლო დისციპლინისათვის მინიჭებული კრედიტის შესახებ;

- ✓ შეფასების სისტემის შესახებ;
- ✓ სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესახებ;
- ✓ საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტური ცხოვრების შესახებ.

8. აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში წარმოქმნილი ხარვეზების დაფიქსირება და ზომების მიღება მათ აღმოფხვრელად;
9. მონაწილეობა ფაკულტეტის ღია კარის დღის ორგანიზებაში;
10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტირებისათვის ხელშეწყობა;
11. უცხოელი სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირების უზრუნველყოფა;
12. ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა;
13. დისციპლინების სწავლების შესახებ სტუდენტებისათვის კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.

ამჟამად აწსუ-ს ტუტორთა ინსტიტუტში ჩართულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 52 სტუდენტი. თითოეულ ფაკულტეტზე მუშაობს 5-10 სტუდენტი.

ტუტორების პირველი შეკრება გაიმართა 2015 წლის 11 სექტემბერს, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასოც. პროფესორი ირმა გრძელიძემ ტუტორებს გააცნო უნივერსიტეტში დაგეგმილი საქმიანობები.

ტუტორები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით ინტენსიურად აცნობდნენ პირველი კურსის სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამების მათთვის საინტერესო დეტალებს, აწვდიდნენ ინფორმაციას საკრედიტო სისტემის განხორციელების ცალკეული პრაქტიკული საკითხების, გაცვლითი პროგრამების, საგრანტო პროექტების, საუნივერსიტეტო წიგნადი ფონდით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ. ინფორმაციის აღქმის გამარტივების მიზნით ისინი ამზადებდნენ სათანადო ანიმაციურ რგოლებს, ხოლო აზრთა ურთიერთგაცვლის, პრობლემების დაფიქსირების მიზნით აქტიურად იყენებდნენ სოციალურ ქსელში სპეციალურ გვერდს.

ტუტორები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით აქტიურად იყვნენ ჩართული სტუდენტთა გამოკითხვების ორგანიზებასა და წარმართვაში.

❖ საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში იყენებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს.



ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაინერგა პროგრამების SWOT ანალიზის პროცედურა, როგორც სტატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი.

ჩატარებული SWOT ანალიზის დროს საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგი კითხვების მიხედვით:

- როგორია საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი მხარეები?
- როგორია საგანმანათლებლო პროგრამის სუსტი მხარეები?
- რა შესაძლებლობები იქმნება მომავალში საგანმანათლებლო პროგრამისათვის?
- რა საფრთხეებმა შეიძლება შეგვიშალოს ხელი დასახული მიზნების მიღწევაში?

SWOT ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა აკრედიტებული პროგრამის 4-წლიანი მუშაობის პერიოდში შექმნილი ძირითადი დოკუმენტები:

- ✓ ყოველწლიურად გაუმჯობესებული კურიკულუმები;
- ✓ პროგრამის თვითშეფასების კითხვარები (ყოველწლიური);
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასება.



შემდგომ სამუშაო პროცესში SWOT ანალიზის საფუძველზე შემუშავდება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები.

❖ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის მონაცემთა ანალიზი და შეფასება

მობილობის პროცესს არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“.

სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

მობილობა ხორციელდება წელიწადში ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში, ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში.

გარე მობილობა ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში სტუდენტის გადასვლის პროცესია. შიდა მობილობის დროს სტუდენტი სარგებლობს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის უფლებით თავისივე უნივერსიტეტის ფარგლებში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის პროცესი ხორციელდება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის განხორციელებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი“-ს შესაბამისად, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის 24 ივნისს (აწსუ-ს ბრძანება 01-04/33).



წესი არეგულირებს გარე მობილობის, შიდა საუნივერსიტეტო მობილობის და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტატუს შეჩერებული/შეწყვეტილი სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვის პროცედურებს. აღნიშნული წესის მიხედვით, გარდა გარე მობილობისა, აწსუ-ის სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა (ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე) მობილობის უფლებით.

შიდა მობილობა, გარე მობილობის მსგავსად ცხადდება წელიწადში ორჯერ და მისი ვადები განისაზღვრება აწსუ-ის რექტორის ბრძანებით.

აწსუ-ში შიდა და გარე მობილობის პროცესების და აწსუ-დან სტატუს შეჩერებული/-შეწყვეტილი სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვის პროცედურების ადმინისტრირებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მის შემადგენლობაში არსებული

მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით.

მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორი რეგულარულად აკეთებს როგორც სტატისტიკურ, ასევე შედარებით ანალიზებს საგაზაფხულო და საშემოდგომო პერიოდების შიდა და გარე მობილობის, სტატუსშეჩერებული/შეწყვეტილი სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვის აღრიცხვით, რომელთა საფუძველზეც, რეგიონული პრინციპების გათვალისწინებით, იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს.

2014-2015 სასწავლო წელს აწსუ-ში მობილობის წესით გადმოვიდა 240 სტუდენტი, ხოლო უნივერსიტეტიდან გადავიდა 134 სტუდენტი.

დიპლომის ნამდვილობასთან დაკავშირებით შემოსული და გასული კორესპოდენციების აღრიცხვას მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორი უზრუნველყოფს. 2015 წლისათვის შემოსულია 72 და გასულია 45 წერილი.

საანგარიშო პერიოდში:

- ✓ დაიხვეწა მობილობის და აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტების განცხადებების, მობილობის და აღდგენის დასკვნების ფორმები;
- ✓ მობილობის და აღდგენის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის გაიწერა ზუსტი ვადები;
- ✓ მობილობის პროცესი წარიმართა აწსუ-ში ახლადდანერგილი eflow-ს სისტემის მეშვეობით.

❖ განათლების ხარისხის მონიტორინგი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განათლების ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება უშუალოდაა დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზთან. მონიტორინგი ფოკუსირებულია სპეციფიკურ და წინასწარ განსაზღვრულ ამოცანებზე.

2015 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:

- სტუდენტთა გამოკითვა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევები;
- აკადემიური პერსონალის თვითშეფასება;
- დამსაქმებლის შეფასება და მათთან უკუკავშირის დამყარება;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- დიპლომის დანართებისშევსება/გაცემის პროცედურების მონიტორინგი.

სტუდენტთა გამოკითვა. სტუდენტების შეხედულებების, საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლა მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განვითარებისათვის.

აწსუ-ს თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დამოუკიდებლად დაგეგმა და ჩაატარა სტუდენტთა გამოკითხვა. ფაკულტეტებზე მოხდა სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარების განახლება. ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტთა გამოკითხვა ელექტრონული ფორმატით ჩატარდა. მასში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროფესორ ნანა შონიასთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს მეოთხეკურსელმა ტუტორებმა. ნანა შონიამ აღნიშნა, რომ ამ ხერხით მიიღო სტუდენტების უფრო გულახდილი პასუხები და ასევე გაცილებით უფრო იოლი გახდა შედეგების დამუშავება. ფაკულტეტის ხუს-ის უფროსებმა გამოთქვეს სურვილი და მზადყოფნა მომავალში გამოიყენონ აღნიშნული პრაქტიკა თავიანთი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების დროს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ჩატარებული თითოეული ფაკულტეტის შედეგების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა საერთო სუსტი მხარეები და სპეციფიკური ნაკლოვანებები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა აღნიშნული საკითხები განიხილეს ფაკულეტეტის ხელმძღვანელობასთან, დეპარტამენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დროს.

სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზის მიხედვით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა, ერთის მხრით, გამოარჩიეს წარმატებული ლექტორები და გამოხატეს პოზიტიური დამოკიდებულება მათი მიღწევების მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, სასწავლო პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და ეცნობა შესაბამის დეპარტამენტებს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევები. უნივერსიტეტისა და კურსდამთავრებულების მუდმივი კომუნიკაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, შეიქმნა 2014-2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა საკონტაქტო ინფორმაციის ბაზა, რომლის გამოყენებით შესრულდა 2014-2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის უფროსებმა წარმოადგინეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის მონაცემები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად, დასაქმების ანალიზი:				
ბაკალავრიატი				
სპეციალობა	სტუდენტთა რაოდენობა	დასაქმებულია	არ არის დასაქმებული	ვერ დავუკავშირდით
მათემატიკა	22	11	4	7
ინფორმატიკა	48	9	8	20+11
ფიზიკა	7	3	2	2
ქიმია	9	1	8	-
ეკოლოგია	14	2	3	9
ბიოლოგია	22	8 (6 მაგისტრატურაში აგრძელებს)	7	7
გეოგრაფია	20	6 (7 მაგისტრატურაში აგრძელებს)	10	4
%	142 ბაკალავრი/100%	28%	37%	35%
მაგისტრატურა				
მათემატიკა	7	3	1	3
ინფორმაციული სისტემები	1	-	1	-
კომპიუტერული მეცნიერებები	3	3	-	-
გეოგრაფია	2	-	-	-
%	13/100%	46%		

2014–2015 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები

	საბაკალავრო პროგრამა	კურსდამთავრებულთა რაოდენობა			დასაქმების ან სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი
		სულ	მათ შორის:		
			დასაქმებული	სამაგისტრო პროგრამაზე	
1.	გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია	5	-	5	100 %
2.	ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია	26	10 (ყველა პროფესიის მიხედვით)	5	58 %
3.	სასურსათო ტექნოლოგია	5	-	3	60 %
4.	გამოყენებითი დიზაინი	18	6 (მათ შორის 3 პროფესიის მიხედვით)	1	39 %
5.	ტექსტილის დიზაინი	8	5 (მათ შორის 2 პროფესიის მიხედვით)	-	63 %
	სულ:	62	22 (15 პროფესიის მიხედვით)	13	57 % (45% პროფესიის მიხედვით)

აწსუ-ს აკადემიური პერსონალის თვითშეფასების მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში, გამოავლინოს „კარგი პრაქტიკის“ მაგალითები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდება შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები.

აკადემიური პერსონალის თვითშეფასების დამკვიდრებამ უნდა გააუმჯობესოს განათლების ხარისხი შემდეგი საკითხების მიხედვით:

- უნივერსიტეტის თანამშრომელთა შესაძლებლობების გამოვლენა და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება.
- უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასება სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში;
- აკადემიური პერსონალის ჩართულობა შესაბამისი ფაკულტეტების, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების განვითარების მიზნებისა და ამოცანების შემუშავებაში;

- აკადემიური პერსონალის მიერ ინდივიდუალური პროფესიული მიზნებისა და ამოცანების შემუშავება;
- დეპარტამენტისა და ფაკულტეტების განვითარების გეგმებში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრა;
- პოტენციური სირთულეების დროული იდენტიფიცირება და მათი მოგვარების სტრატეგიების განსაზღვრა.

2015 წელს აწსუ-ს აკადემიური პერსონალის თვითშეფასების პროცესი ფაკულტეტების ხარისხის სამსახურების მიერ წარიმართა. მათ მიერ გაანალიზდა მიღებული ინფორმაცია, ჩატარდა გამოვლენილი პრობლემების განხილვა და ანალიზი.

უნდა აღნიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის თვითშეფასებების შედეგების ანალიზისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მექანიზმები საჭიროებს შემდგომ დახვეწას, რაც ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის სამომავლო მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა.

დამსაქმებლის შეფასება და მათთან უკუკავშირის დამყარება. უწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნავს რა კურსდამთავრებულთა დასაქმების მექანიზმების აქტუალობას, აღიარებს ამ სფეროში კვლევებისა და შეფასების სისტემის დახვეწის საჭიროებას. შრომის ბაზარზე ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და კურსდამთავრებულთა ინფორმირებულობის მექანიზმების დახვეწა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ინიციატივებს - საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროფესიულ სწავლებაში დამსაქმებლების ჩართულობის გაუმჯობესების, ასევე შრომის ბაზრის შესწავლის მხრივ. აღნიშნული მიმართულებით 2015 წლის კარგი პრაქტიკა და საინტერესო ინიციატივა იყო „სასურსათო ტექნოლოგიების“ მიმართულების შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა, რომელიც საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა განახორციელა.



ასევე კარგი მაგალითია „კარიერის დღის“ პრაქტიკა, რომელიც აწსუ-ში 2015 წლის 14 დეკემბერს გაიმართა ჩეხეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის „განათლების ხარისხის გაუმჯობესება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ფარგლებში.

ღონისძიება მოეწყო ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა და აგრარული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორმა სახელმწოფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებმა, წარმატებულმა ბიზნესმენებმა. მოეწყო საინფორმაციო კუთხეები, გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, პრეზენტაციები და დისკუსიები. სტუდენტები პირადად შეხვდნენ დამსაქმებლებს და მათგან მიიღეს ინფორმაცია პრაქტიკისა და დასაქმების შესახებ.

აკადემიური მოსწრების ანალიზი. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც იძლევა საშუალებას შეფასებულ იქნას სასწავლო პროცესის გამართულობა, საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი, სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ადეკვატურობა, აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებები, სტუდენტების მომზადების დონე და სხვ.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმართა მუშაობა თითოეულ ფაკულტეტზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების რეგულარული ანალიზის ჩატარების მხრივ. ასეთი ანალიზი ტარდება შუალედური შეფასებების მე-6 და მე-12 კვირაში და ყოველი სემესტრის დასრულებისას.

თითოეულ ფაკულტეტზე ჩატარებული აკადემიური მოსწრების ანალიზი იხილება ფაკულტეტის საბჭოზე და დეპარტამენტებზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარადგენს გამოვლენილი საკითხების გაუმჯობესების ღონისძიებებს ლექტორ-მასწავლებლებთან შეხვედრის დროს.

დიპლომის დანართებისშევსება/გაცემის პროცედურების მონიტორინგი. დიპლომისა და დიპლომის დანართების გაცემის დროს აუცილებელია დაცულ იქნას საუნივერსიტეტო ბრძანება დიპლომისა და დიპლომის დანართების გაცემის შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის უფროსებს დაევალათ თვალყური ადევნონ დიპლომის დანართების დროულად შევსებისა და ნომრების მინიჭების დროში გაწერილ პროცედურებს.

აუდიტორული მუშაობის აღრიცხვის ჟურნალების შემოღება. აუდიტორული მუშაობის აღრიცხვის ჟურნალების შემოღება 2015 წლის საუნივერსიტეტო სიახლეა. ჟურნალი წარმოადგენს პედაგოგის სამუშაო ჟურნალს, რომლებიც ინახება შესაბამის დეპარტამენტებზე.

აწსუ-ში კვლევისათვის არსებული პირობებით დოქტორანტების კმაყოფილების კვლევის ანალიზი. 2015 წლის აპრილ-მაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკური განყოფილების მიერ ჩატარდა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სტუდენტთა ანკეტური გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო აწსუ-ში კვლევისათვის არსებული პირობებით დოქტორანტების კმაყოფილების ხარისხის შესწავლა. გამოკითხვის ადმინისტრირება მოხდა ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული გამოკითხვის ბმული დაეგზავნა ელ.ფოსტებზე აწსუ-ის სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს, წინასწარი შერჩევის გარეშე, განურჩევლად მათი სტატუსისა (აქტიური/სტატუს შეჩერებული). ანალოგიური კვლევების ჩატარებისას ასეთი პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია სხვა ქვეყნებში, თუმცა, არსებობს ალბათობა, რომ გამოკითხვაში შედარებით უფრო მოტივირებულმა და სწავლის პროცესში უფრო აქტიურად ჩართულმა სტუდენტებმა მიიღონ მონაწილეობა, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოეხდინოს კვლევის შედეგების რეპრეზენტატიულობაზე.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევის მომენტისათვის ირიცხებოდა 183 დოქტორანტი, მათ შორის 111 აქტიური, ხოლო 72 სტატუს შეჩერებული. კვლევის პროცესში დაკავშირება მოხერხდა 116 დოქტორანტთან. აღნიშნული კვლევის შესახებ ვრცელი ინფორმაცია იხილეთ: http://doc.atsu.edu.ge/geo/xarisxi/geo/2015.pdf.

4. პროფესიული პროგრამების განვითარება

მოდულური და საგნობრივი პროფესიული პროგრამების განხორციელება აწსუ-ს მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ამ პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვანი ამოცანა.

<u>2015 წლისათვის საგნობრივი პროფესიული პროგრამების კატალოგი</u> მოიცავს 54 მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას, მათგან საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულ-



განხორციელებული აქტივობები:

- მოდულური პროფესიული პროგრამების შემუშავება და დანერგვა.
- საგნობრივი პროფესიული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;
- შეხვედრები პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან და დაინტერესებულ პირებთან;
- თანამშრომლობა აწსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრთან;
- თანამშრომლობა პროფესიული განათლების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან.

ტეტის - 22, აგრარული ფაკულტეტის -10, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის - 19, საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის - 2, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის - 1 პროგრამა.

2014-2015 წლების თვითშეფასების ანგარიშით წარდგენილ იქნა შემუშავებული ახალი პროფესიული (3 საგნობრივი და 11 მოდულური) პროგრამები.

პროფესიული პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგი, პროფესიული პროგრამების სექტორთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით, ფაკულტეტების დეკანის მოადგილეებს დაევალათ.

❖ მოდულური პროფესიული პროგრამების შემუშავება და დანერგვა

საქართველოს „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის“ შესაბამისად, 2013 წლიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამას“, რომლის მიზანია გათვალისწინებული პროფესიული განათლების რეფორმის განხორციელება, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა, ეკონომიკური განვითარებისა და პიროვნული კარიერული ზრდის ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აწსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად ჩაერთო მოდულური პროფესიული პროგრამების ახალი სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების შექმნის პროცესში. აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ირმა გრძელიძე პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის გარე მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის სპეციალისტია, ხოლო აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი ნატო ალავიძე - პროფესიული პროგრამების განვითარების პროგრამის ფასილიტატორი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში აწსუ-ში შემუშავდა 11 მოდულური პროგრამა:

1. საბაჟო საქმის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი ს. სვანაძე;
2. სასტუმრო საქმის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი ნ. შარაბიძე;
3. სარეკლამო აგენტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი თ. კუპრაშვილი;
4. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი ნ. ქობულაძე;
5. ბიბლიოთეკარი, პროგრამის ხელმძღვანელი - გ. ჭიჭინაძე;
6. სისტემების ადმინისტრატორი, პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ა. ძნელაძე;
7. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ნ. დოლიძე;
8. ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი მ. გრძელიძე;
9. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი თ. მოსეშვილი;
10. ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი ვ. წიქვაძე;
11. სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი, პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი თ. კოჩაძე.

❖ საგნობრივი პროფესიული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა

2015 წელს აწსუ-ში მოქმედ საგნობრივ პროფესიულ პროგრამებზე 200-მდე სტუდენტი ჩაირიცხა. რაც შეეხება ახალ საგნობრივ პროფესიულ პროგრამებს, 2015 წელს აწსუ-ში შემუშავდა შემდეგი პროგრამები:

1. ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი (მეოთხე საფეხური);
2. საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი (მესამე საფეხური);
3. ძრავის შემკეთებელი (მეხუთე საფეხური).

2014-2015 წლების თვითშეფასების ანგარიშით წარდგენილ იქნა შემუშავებული ახალი პროფესიული (საგნობრივი და მოდულური) პროგრამები. 2016 წლის 18 იანვარის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით აწსუ-მ მოიპოვა აღნიშნული 11 მოდულური და 3 საგნობრივი პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება.

ახალ მოდულურ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა 2016 წლის გაზაფხულის სემესტრში იქნება შესაძლებელი.

❖ შეხვედრები პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან და დაინტერესებულ პირებთან

პროფესიული პროგრამების ხელმძვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრები და კონსულტაციები სისტემატიურად მიმდინარეობს პროფესიული პროგრამების სექტორის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობაში მყოფი სტრუქტურული ერთეულია.

აწსუ-ში პროფესიული პროგრამების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, 2015 წელს აწსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით და ხელშეწყობით მოეწყო **სემინარი: „პროფესიული განათლების სრულყოფა, ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილება“**, რომელსაც უძღვებოდა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის კონსულტანტი თეა სიფრაშვილი. სემინარის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი, საგნობრივი და მოდულური პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელები, პროფესიულ პროგრამებში მონაწილე პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები.

წარმოდგენილ იქნა პრეზენტაციები: „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“ და „პროფესიული განათლების სისტემა საქართველოში - გამოწვევები და პერსპექტივები“.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- ✓ პროფესიული განათლების მიზნები, რეფორმა, განხორციელებული თუ განსახორციელებელი ცვლილებები;
- ✓ არსებული გამოცდილებისა და საჭიროების ანალიზის საფუძველზე პროფესიული განათლების სფეროში გამოცდილების გაზიარება, განსაკუთრებით სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კუთხით;
- ✓ ევროპული ინსტრუმენტების შესწავლა და დანერგვა შერჩეულ პროფესიულ სფეროებში;
- ✓ არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტანდარტების შემუშავებისას უნივერსიტეტის პერსონალის შესაძლებლობების გაუმჯობესება განახლებული მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.
- ✓ საქართველოსა და საზღვარგარეთის პროფილურ სასწავლებლებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების შექმნა.

შეხვედრას 53 მონაწილე ესწრებოდა. მომხსენებელმა ამომწურავი პასუხები გასცა მონაწილეების მხრიდან დასმულ შეკითხვებზე.

❖ თანამშრომლობა აწსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრთან

აწსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრისა და პროფესიული სწავლების ურთიერთკავშირსა და კოორდინირებულ მუშაობას აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორივე მიმართულების გაუმჯობესების საშუალებად განიხილავს. შესაბამისად, აწსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრთან თანმშრომლობა და მათი შესაძლებლობების გამოყენება 2015 წლისა და მომავალი სამუშაოების ერთ-ერთი სუბმიმართულებაა.

❖ თანამშრომლობა პროფესიული განათლების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან

აწსუ-სა და ჩეხურ არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ადამიანი გაჭირვებაში" (People in Need - PIN) შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 2014 წელს გაფორმდა. ორგანიზაცია "ადამიანი გაჭირვებაში" საქართველოში 2005 წლიდან მოღვაწეობს. ორგანიზაციის პროექტები სამ ძირითად სფეროს მოიცავს: სოფლის მეურნეობის განვითარება, სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა და სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს PIN-თან და ხელს უწყობს აღნიშნულ ორგანიზაციას იმერეთის რეგიონში დაგეგმილი პროექტების განხორციელებაში. ასეთ პროექტს წარმოადგენს ,,კოოპერაციისა და პროდუქტიულობის ზრდა იმერეთსა და რაჭაში მცირე ფერმერთა შორის", რომელიც მიზნად ისახავს სასოფლო - სამეურნეო პოტენციალის რეალიზებასა და სოფლად სიღარიბის აღმოფხვრას. მასში აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სტუდენტები, რაც ზრდის მათ მოტივაციას, უზრუნველყოფს საჭირო უნარ - ჩვევების განვითარებასა და დასაქმებას. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული კავშირების შედეგად, 2015 წელს მჭიდრო თანამშრომლობითი ურთიერთობა დამყარდა კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (ctc), რომელიც PIN-ის პარტნიორ ორგანიზაციას წარმოადგენს. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (ერთის მხრივ, ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტია, რომელიც მხარს უჭერს თანამედროვე ლიდერობისა და სამუშაო კომპეტენციების მქონე ადამიანური კაპიტალის განვითარებას; მეორეს მხრივ, კი, ის - საკონსულტაციო ცენტრია, რომელიც დახმარებას უწევს სხვადასხვა ორგანიზაციებს საორგანიზაციო სისტემების და სტრუქტურების გაძლიერებაში, ადეკვატური სტრატეგიებისა და მენეჯმენტის შემუშავებაში.

2016 წლისათვის კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის დაგეგმილია ტრენინგები შემდეგ თემებზე: ზრდასრულთა სწავლების მეთოდები და გამოყენებითი კვლევა სასწავლო დაწესებულებების მართვისათვის, ასევე გაუწევს კონსულტირებას აწსუ-ს პროფესიული სწავლების სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის.



5. საჯაროობა და ინფორმაციის დისემინაცია

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვაში ინფორმაციის დისემინაცია და საჯაროობის პრინციპების დაცვა წარმოადგენს სეგმენტს, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველდღიური მუშაობის შედეგად წარიმართება. ამ მხრივ სამსახურმა დაიწყო აწსუ-ს კორპორაციული ელექტრონული ფოსტის შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება.



განხორციელებული აქტივობები:

- გაწეული მუშაობის ანგარიშები კადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე;
- სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტების ადმინისტრაციასთან და დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალთან;
- საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლების შექმნა პირველკურსელთათვის, მობილობის მსურველთათვის, უცხოელი სტუდენტებისათვის;
- თანამშრომლობა განათლების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდის სეგმენტის განახლება და ინგლისურენოვანი ვერსიის დახვეწა;
- თანამშრომლობა სოციალური ქსელში აწსუ-ს ოფიციალურ გვერდთან და ინფორმაციისა და სიახლეების პერმანენტულ რეჟიმში მიწოდება.

ერთ-ერთი მიდგომა, ყველა დაინტერესებული პირისათვის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, არის მიზნობრივი თანამდებობრივი ჯგუფების (პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, შეხვედრებში მონაწილე დაინტერესებული პირები) შექმნა კორპორაციული ფოსტების სერვისის საშუალებით, რომელთა წარმომადგენლებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნებათ შესაბამისი ინფორმაციები, ანგარიშები და რეკომენდაციები. ამავე დროს, აღნიშნული ჯგუფების ყველა ინდივიდს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ელექტრონულ დისკუსიებში, დასვას კითხვები და მიიღოს პასუხები.

❖ ანგარიშის წარდგენა გაწეული სამუშაოს შესახებ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე

აწსუ-ს ხარისხის მართვის სამსახური, როგორც უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი ორგანო, მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა მმართველობით ორგანოებთან: რექტორატ-თან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიური საბჭოსადმი ანგარიშვალდებუ-ლების ფარგლებში რეგულარულად წარადგენს ინფორმაციას მიმდინარე ღონისძიებების, შესრულებული შეფასებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

❖ სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტების ადმინისტრაციასთან და დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალთან

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამის ხელ-მძღვანელებთან, ფაკულტეტების ადმინისტრაციულ და დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალთან. სამუშაო შეხვედრები ხშირ შემთხვევაში ტარდებოდა თითოეული ფა-კულტეტის სპეციფიკური საკითხების განხილვის (აკადემიური მოსწრების ანგარიშები, დასაქმების მაჩვენებლების განხილვა, სტუდენტთა გამოკითხვების ანალიზი) და გადაწყ-ვეტის ფორმატში, თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ერთიანი მიდგომების დახვეწა და არსებული პრობლემების განხილვა წარმოადგენდა. დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალთან ფაკულტეტის ხა-რისხის სამსახურის შეხვედრები მიმართული იყო დარგობრივი "კურიკულუმის კომიტე-ტების" შექმნისა და პროგრამის შემუშავების საკითხების განხილვა.

❖ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდის სეგმენტის განახლება და ინგლისურენოვანი ვერსიის დახვეწა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდის სეგმენტის განახლება და ინ-გლისურენოვანი ვერსიის დახვეწა ინფორმაციის ეფექტური გავრცელებისა და საჯაროობის ნაწილია. უნივერსიტეტის ოფიციალური საიტის ხუს-ის ქართულ- და ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაციები აქტივობების შესახებ, მომზადებული ანგარიშები, მარეგულირებელი დოკუმენტები. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული ვებ-გვერდების „მეგობრული“ შინაარსი და სტრუქტურა ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს მთელი რიგი მიმართულებებით.

http://atsu.edu.ge/article.php?c=2&a=13#



http://atsu.edu.ge/eng/article.php?c=9&a=93





❖ საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლების შექმნა პირველკურსელთათვის, მობილობის მსურველთათვის, უცხოელი სტუდენტებისათვის

საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლების შექმნა და ინტერნეტ სივრცეში მათი განთავსება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისა და მოქმედი რეგულაციების ახსნის კარგი საშუალებაა. ამ მიზნით შეიქმნა ვიდეორგოლები, რომლის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტმა გიგა გორელიშვილმა.

პირველი ვიდეორგოლი შეიქმნა აწსუ-ს პირველკურსელებისათვის, რომელშიც წარმოდგენილია მინიმალური საჭირო ინფორმაცია სასწავლო გარემოსთან სწრაფი ადაპტირებისათვის. ვიდეორგოლი ნაჩვენები იქნა პირველკურსელებთან შეხვედრების დროს,

გადის უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსის ფოიეში დამონტაჟებულ ეკრანზე, განთავსდა ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში, ეფექტურად იქნა გამოყენებული ტუტორების მიერ.

https://www.youtube.com/watch?v=3Es3sWi9h6I



მისასალმებელია აწსუ-ში უცხოელი სტუდენტების რაოდენობის მზარდი ტენდენცია. ასეთი სტუდენტებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა ინგლისურენოვანი ვიდეორგოლი, რომელიც განავსებულია ინტერნეტში.

https://www.youtube.com/watch?v=LXPfUxOAeu4



აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მობილობის პროცესის წესისა და პროცედურების შესახებ სტუდენტთა მაღალი დაინტერესებიდან გამომდინარე, შექმნა ვიდეორგოლი მობილობის პროცესის გამკვლევის თემაზე. მობილობის წესისა და პროცედურების ასეთი სახით მიწოდებამ გააუმჯობესა სტუდენტების მობილობის განხორციელების პროცესის პროცედურების აღქმისა და მათ მიერ ამ მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობები.

(https://www.youtube.com/watch?v=683qDzhKZjY









❖ თანამშრომლობა სოციალური ქსელში აწსუ-ს ოფიციალურ გვერდთან და ინფორმაციისა და სიახლეების პერმანენტულ რეჟიმში მიწოდება

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის სიახლეები პერმანენტულად მიეწოდება სოციალური ქსელში ოფიციალური გვერდის ადმინისტრატორს. ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან facebook-გვერდი საშუალებას იძლევა მივიღოთ უკუკავშირი სტუდენტებიდან, აკადემიური და დამხმარე პერსონალიდან, დაინტერესებული პირებიდან და ყოველდღიური კავშირი ვიქონიოთ საზოგადოებასთან.

❖ ფსიქოლოგი უცხოელი სტუდენტებისათვის

2015 წელს ხარისხის უზრუნველოფის სამსახურმა უცხოელი სტუდენტებისათვის ფსიქოლოგ-კონსულტანტის რანგში მოიწვია ჰოლანდიელი პროფესორი მარიან დაგერსი, რომელიც აწსუ-ს მოწვეული პედაგოგია სამაგისტრო პროგრამაში „უმაღლესი განათლება ლიდერობასა და მენეჯმენტში“.

მარიანა დაგერსი 2015 წლის ოქტომბრიდან ატარებს სისტემატიურ კონსულტაციებს ნიგერიელი და ერაყელი სტუდენტებისათვის სწავლისა და კარიერის დაგეგმვის, საზოგადოებასთან და გარემოსთან ადაპტირების პრობლემებთან დაკავშირებული დეპრესიების მართვის შესახებ.

❖ თანამშრომლობა განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებთან და ფონდებთან

2015 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო პროექტში „სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა“, რომელიც განხორციელდა ლევან მიქელაძის ფონდის მიერ, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭრით. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს უნივერსიტეტებში სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენას და ანალიზს.

პროექტის ფარგლებში კვლევა ჩატარდა ოთხ უნივერსიტეტში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ნაყოფიერად ითანამშრომლა აღნიშნული პროექტის განმახორციელებელ პირებთან.

პროექტის ფარგლებში რამდენიმე ანგარიში მომზადდა. საბოლოო ანგარიშში შეჯამდა კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული შედეგები, რომელშიც მნიშნელოვანი ადგილი დაეთმო ზემოთ ხსენებულ უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების სფეროში არსებული პრობლემების აღწერას და მათ ანალიზს.

აღნიშნული ანალიზი მნიშვნელოვანად დაეხმარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პრობლემების შეფასებასა და მათი მოგვარების შესაძლებლობების გააზრებაში.

დიაგრამების სახით, გთავაზობთ პროექტით „სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა“ მიღებულ იმ შედეგებს, რომლებიც საყურადღებოა აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის მომავალი აქტივობების დაგეგმვაში.

პროექტი „სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა“

კვლევა: ლევან მიქელაძის ფონდი, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით

დიაგრამა #29: ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესებზე სტუდენტების გავლენა უნივერსიტეტების მიხედვით



დიაგრამა #25: სტუდენტთა მომსახურების დონის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით



დიაგრამა #24: უცხო ენების სწავლების ხარისხის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით



დიაგრამა #15: რამდენად საკმარისია მაგისტრატურაზე მიღებული განათლება დოქტურანტურაში ჩასაბარებლად



დიაგრამა #8: შეფასების სისტემის/პროცედურების გამჭვირვალობის მაჩვენებლები (N=1151)



დიაგრამა #5: საბაკალავრო პროგრამების შეფასება (N=1151)



დიაგრამა #7: სტუდენტთა შეფასების ობიექტურობის მაჩვენებლები (N=1151)



დიაგრამა #3: მორგებულია თუ არა უნივერსიტეტში სწავლება სტუდენტების ინტერესებზე - პასუხების გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით (N=1151)





6. ინტერნაციონალიზაცია

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს განათლების ხარისხის ამაღლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. ინტერნაციონალიზაცია მოიცავს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვლევითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობას.



განხორციელებული აქტივობები:

- აქტიური ჩართულობა Erasmus + და Tempus-ის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებში;
- საერთაშორისო კონტაქტები ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებითა და აწსუ-ს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივცეში ინტეგრაციის მიზნით;
- ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში/სემინარებში/დებატებში საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციისა და „საუკეთესო პრაქტიკის" გაზიარების მიზნით.
- საერთაშორისო კონფერენციის HENTI-2015–"Higher Education–New Technologies and Innovations" - ორგანიზება.
- ფაკულტეტის ხუს-ების უფროსებისთვის/ტუტორებისთვის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის უცხო ენის ცოდნის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა (ინგლისური ენის სწავლების ორგანიზება).

აწსუ მიზნად ისახავს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, რისთვისაც უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის განათლების სფეროს ინსტიტუციებთან.

განათლების ინტერნაციონალიზაციისა და ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობის - მობილობის ხელშეწყობის მიზნით, აწსუ პერმანენტულად მოიძიებს პარტნიორ ინსტიტუციებს.

ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ნაყოფიერი მონაწილეობა აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვანი მიმდინარე და სამომავლო გამოწვევაა.

❖ აქტიური ჩართულობა Erasmus+/Tempus პროგრამების მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებში

აწსუ აქტიურად არის ჩართული უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. ამ თანამშრომლობის საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწის, დაინტერესებული მხარეების (აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები) შესაძლებლობების გაზრდის, საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით.

ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობა გამოიხატა შემდეგ პროექტების განხორციელებაში:

- განათლების მენეჯმენტში მაგისტრატურის პროგრამის განვითარების პროექტი - MAHATMA - უმაღლესი განათლების მართვის მაგისტრი; ლიდერთა მომზადება საგანმანათლებლო ცვლილებების მართვისათვის;
- ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და საჭიროების აუცილებლობის აღიარება სომხეთსა და საქართველოში - TNE_QA -"Promoting Quality and Recognition of Transnational Education in Armenia and Georgia"
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის - „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ - შემუშავება.

აღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

✓ **ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები:** ტემპუსის პროექტის ფარგლებში - „ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების ხელშეწყობა სომხეთსა და საქართველოში“ - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინირებით მომზადდა დოკუმენტი „ტრანსნაციონალური განათლება - საქართველოს კონტექსტი.“ დოკუმენტში ასახულია საერთაშორისო პრაქტიკა, ტრანსნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებები, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში გავრცელებული ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებისა და პროგრამის მობილობის ტიპები, ტრანსნაციონალური განათლების საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები. დოკუმენტი ასახავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას ტრანსნაციონალური განათლების კუთხით, საერთაშორისო ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხს, გაანალიზებულია არსებული აკრედიტაციის სტანდარტები და მათი მიმართება ევროპულ სტანდარტების, გაიდლაინებისა და ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ მიდგომებთან. აღნიშნულ აქტივიბაში ჩართული იყო აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

✓ 23 და 24 ივნისს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, ტემპუსის პროექტის ფარგლებში „ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების ხელშეწყობა სომხეთსა და საქართველოში“ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს ში-

და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ტრანსნაციონალური განათლების ინსტრუმენტები. პროექტის პარტნიორები არიან დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA), ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების ევროპული ფონდი (EFMD), სომხეთის განათლების ხარისხის ცენტრი (ANQA), იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი (საფრანგეთი), ქართული და საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. თეორიული ნაწილის შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრები ჯგუფებში. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიზანი იყო UNESCO-ს ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გაიდლაინების საფუძველზე კონკრეტული ინდიკატორების ჩამოყალიბება, მათი განვითარებისა და დახვეწის მიზნით.

✓ ტემპუსის პროექტის „ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების ხელშეწყობა სომხეთსა და საქართველოში“ ფარგლებში, 21-22 სექტემბერს, გაიმართა სამუშაო შეხვედრა პარიზში, იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტში. სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა ტრანსნაციონალური განათლების რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები სომხეთსა და საქართველოში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინირებით შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფთან ერთად მომზადებული სახელმძღვანელო პრინციპები. სამწლიანი პროექტის ფარგლებში იგეგმება ერთობლივი პროგრამების შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება და საპილოტე აკრედიტაციის განხორციელება პარტნიორ უნივერსიტეტებში.

✓ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ტემპუსის პროექტის **„სამაგისტრო პროგრამა განათლების მენეჯმენტში: ლიდერების აღზრდა საგანმანათლებლო რეფორმებისათვის“** ფარგლებში, 15-16 ივნისს საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა. ვიზიტის დროს ექსპერტები შეხვდნენ განათლების მენეჯმენტის პროგრამის აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, პოტენციურ დამსაქმებლებს, აგრეთვე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლებს. ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარმა ჯგუფმა დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღო უნივერსიტეტებში არსებული უმაღლესი განათლების მენეჯმენტის პროგრამების შესახებ და გაეცნო შესაბამის დოკუმენტაციას. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა საერთაშორისო გუნდმა ანგარიში მოამზადა. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული აქტივობა ღირებული გამოცდილება იყო გვემუშავა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფთან და მიგვეღო საერთაშორისო გამოცდილება კონკრეტულ

სფეროში, რათა გავზარდოთ ჩვენი პროგრამების კონკურენტუნარიანობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

✓ ტემპუსის პროგრამის ფარგლებში - BME-ENA ბიოსამედიცინო განათლების განვითარება - Biomedical Engineering Education Tempus Initiative in Easten Neighboring Area შეიქმნა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა "ბიოსამედიცინო ინჟინერია" - პარტნიორ უნივერსიტეტებთან (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ერთად. თუმცა, ერთობლივი პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტი არ არსებობდა. პარტნიორი უნივერსიტეტების ხუს-ების მონაწილეობით შეიქმნა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი, რამაც ხელი შეუწყო მოცემული პროგრამის ავტორიზაციის თვითშეფასებით დამატებას.

❖ საერთაშორისო კონტაქტები ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებითა და აწსუ-ს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში აწსუ-ს ინტეგრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით კონტაქტების გაღრმავება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრიორიტეტული ამოცანაა.

2015 წლის 8 ივნისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სტუმრად იმყოფებოდა უელსის უნივერსიტეტის პროფესორი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი - ქეროლაინ მაკლაჰენი. შეხვედრის დროს განხილულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული პრობლემები და პერსპექტივები, ინტერნაციონალიზაცია და ამ ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დაგეგმვის ღონისძიებათა ხელშეწყობა.

❖ ჩართულობა კონფერენციებში/სემინარებში/დებატებში საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციისა და „საუკეთესო პრაქტიკის“ გაზიარების მიზნით

2015 წლის 6 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა დისკუსია თემაზე „საჯარო დებატები საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე“, ფონდის - „ღია საზოგადოება - საქართველოსა“ და „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

მოხსენებები წარმოადგინეს მიგრაციისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრის უფროსმა, კონსულტანტმა მიგრაციისა და დიასპორის საკითხებში ირმა წერეთელმა, საერთაშორისო განათლების ცენტრის დირექტორმა ნინო ჩინჩალაძემ, აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ირმა გრძელიძემ.

მომხსენებელთა მიერ გაკეთებული პრეზენტაციების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიურად ჩართნენ აწსუ პროფესურა, ქუთაისის უნივერსიტეტისა და საერთაშორისო განათლების ცენტრის იმერეთის ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის საკითხებით, უმაღლესი განათლების გლობალიზაციის მიერ შექმნილი გამოწვევებითა და შესაძლებლობებით აკადემიური საზოგადოების ფართო წრეების დაინტერესებასა და ამ კუთხით საჯარო და საუნივერსიტეტო პოლიტიკის განვითარებას.

2015 წლის 16 ივნისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში Erasmus + საქართველოს ოფისის კოორდინატორმა გამართა ტრენინგ-პრეზენტაცია www.progeorgia.ge-ს შესახებ. სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ უნივერსიტეტების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ ფონდების მოზიდვაზე, პროექტების განვითარებაზე, და ასევე სტუდენტთა კონსულტირებაზე - კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი, კარიერული და სტუდენტთა მომსახურების ცენტრები,

სტრატეგიული განვითარების ცენტრები და ა.შ. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა დონორი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზისა და საძიებო სისტემის შექმნას. კერძოდ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის დამატებითი დაფინანსების მოძიების მსურველთათვის (მათ შორის სტუდენტებისთვისაც) პროექტი უზრუნველყოფს რელევანტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის გამოყენებისათვის მათი კომპეტენციის გაუმჯობესებას. პროექტის ამოცანებია: ქვეყნის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებულ აკადემიური და ადმინისტრაციული პოტენციალის ორგანიზება დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის ეფექტიანობის გასაზრდელად; ყველა დაიტერესებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქალბატონმა ლიკა ღლონტმა დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთი ინოვაცია შესთავაზა: გზამკვლევი სტუდენტებისათვის - მათთვის, ვისაც საზღვარგარეთ სწავლა სურს და, შესაბამისად, საბუთების შეგროვება და გასაუბრებაში მონაწილეობა უწევს. სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს. შეხვედრის ბოლოს მათ დაურიგდათ გზამკვლევები. შეხვედრის შედეგები დისემინირებული იქნა ტუტორების ჯგუფში.



გზამკვლევი შეგიძლიათ იხილოთ:
http://progeorgia.ge/data/image_db_innova/Student%20guideline%202015.pdf

❖ საერთაშორისო კონფერენცია „უმაღლესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები - HENTI 2015“

2015 წლის 1-2 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების საქართველოს ეროვნული ცენტრისა და Erasmus+-ის საქართველოს ეროვნული ოფისის მხარდაჭერით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „უმაღლესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები - HENTI 2015“. http://atsu.edu.ge/Conferences/HENTI2015/

საერთაშორისო კონფერენციის პროგრამის ფარგლებში მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგ სექციებში:

- გლობალური საკითხები და თანამედროვე გამოწვევები განათლებაში;
- მასწავლებელთა გადამზადება (TT) / ტრენერთა ტრენინგი (TOT) / სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე (LLL);
- კურიკულუმის დიზაინი: თანამედროვე პრინციპები, მეთოდები და ტექნოლოგიები;
- აკრედიტაცია-ავტორიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფა განათლებაში;
- სასწავლო პროცესისა და კვლევების ინტეგრაცია;
- ინტერნაციონალიზაცია და მულტიკულტურული პროექტები საგანმანათლებლო სივრცეში;
- ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები სწავლა / სწავლების / კვლევის პროცესში;
- განათლების ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ასპექტები.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება სწავლებისა და სწავლის, საგანმანათლებლო ინოვაციების, ელექტრონული სწავლების, განათლებასა და კვლევაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ, მოაწყვეს ახალი პროექტების პრეზენტაცია, მონაწილეობა მიიღეს დისკუსიებსა და სამუშაო შეხვედრებში მათთვის საინტერესო საკითხებზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო კონფერენციამ HENTI 2015 აკადემიურ პერსონალს მისცა საშუალება ღია დიალოგისა, კომუნიკაციისა იდეებისა და სამომავლო პერსპექტივების დასახვისათვის. ამ ჭრილში უმნიშვნელოვანესი გახლდათ ინტერნაციონალიზაციის საკითხი, როგორც ახალი გამოწვევა საქართველოს განათლების სფეროში, რომელიც უამრავ ახალ შესაძლებლობას აჩენს სათანადო სივრცეში. ეს არის ერთგვარი გზაჯვარედინი, რომლის გავლაც სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს, თანაც ისე, რომ იდეათა მიმზიდველობამ თვითმყოფადობის შენარჩუნება ეჭვის ქვეშ არ დააყენოს. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკაც ამ სტრატეგიის ნაწილია.

HENTI 2015-ის ფარგლებში წარმოშობილი იდეები პრაქტიკულ საქმიანობაში განაგრძობს ხორცშესხმას. კონფერენციების ჩატარების პლატფორმა (ელექტრული რეგისტრაციისა და კონფერენციის ვებ-გვერდის სერვისები, თანამედროვე პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ვორქ-შოფები) შემდგომში წარმატებით იქნა გამოყენებული სხვადასხვა ფაკულტეტებზე ჩატარებული კონფერენციებისათვის.



1st International conference
High Education - New Technologies and Innovation

HENTI 2015

❖ ფაკულტეტის ხუს-ების უფროსებისთვის, ტუტორებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის უცხო ენის ცოდნის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა (ინგლისური ენის სწავლების ორგანიზება)

ერთ-ერთი საინტერესო ინციატივა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2015 წელს, არის აწსუ-ს **უნივერსიტეტის სტუდენტებში საკომუნიკაციო ინგლისური ენის სწავლება ტუტორების საშუალებით.** ამ იდეის ავტორი გრაცის უნივერსიტეტის სტუდენტი ელიზაბეტ შაუერმანია, რომელიც აწსუ-ში Erasmus+ -ის გაცვლითი პროგრამით იმყოფება. აწსუ-ში ყოფნის პერიოდში ელიზაბეტმა წარადგინა პროექტი აწსუ-ს სტუდენტებისათვის საკომუნიკაციო ინგლისური ენის სწავლების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყოფს ინტერნაციონალიზაციის პროცესებს.

პროექტი ეფუძნება ტუტორების ჩართვას ინგლისური ენის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის პროექტში. კერძოდ, ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისაგან შექმნილი ტუტორთა ჯგუფის გადამზადდებას და მათ მიერ სხვა სპეციალობის სტუდენტთა ტრენინგს. ინგლისურენოვანი ტუტორები გადამზადების შემდეგ შეძლებენ სხვა სპეციალობის ტუტორებს ჩაუტარონ ინგლისური ენის შემსწავლელი ტრენინგები, მოაწყონ ღია ლექციები და დებატები ინგლისურ ენაზე.

პროექტს მხარდაჭერა გამოუცხადა აწსუ-ს ხელმძღვანელობამ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტმა და უცხო ენათა სწავლების ცენტრმა. ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტმა უზრუნველყო ამ მიმართულების მოტივირებული სტუდენტების შერჩევა, ხოლო უცხო ენათა სწავლების ცენტრმა - არჩეული მომავალი ტრენერების გადამზადება ენის სწავლების მეთოდებში. შედეგად ჩამოყალიბდა თანამშრომლობითი ჯაჭვი: ტუტორები - უცხოელი სტუდენტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი - უცხო ენათა ცენტრი - სხვა ტუტორები.

2015 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივითა და რექტორატის მხარდაჭერით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებისათვის ინგლისური ენის შემსწავლელი 4-თვიანი კურსის ორგანიზების შესახებ. თითოეული მონაწილის ინგლისური ენის ფლობის დონის განსაზღვრის შემდეგ მოხდა ჯგუფების ფორმირება და სწავლება, რომელიც 2016 წელსაც გრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2014 წლის ანგარიში. http://eqe.gov.ge/res/docs/20150130160538AnnualReport_2014.pdf
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2013 წლის ანგარიში და 2011-2013 წლების ანალიტიკური მიმოხილვა. http://eqe.gov.ge/res/docs/eqeannualreport_2013.pdf
- პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები). http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf
- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით. IV - ხარისხის უზრუნველყოფა, ექსპერტი - ირინე დარჩია, 2013. https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-4.pdf
- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა. სახელმძღვანელო. თარგმანი. 2015 https://drive.google.com/file/d/0B8EsOg5UNGftNFZwWGprVENVaWc/view?pref=2&pli=1
- სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა. ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, 2015. http://www.mikeladzefoundation.org/multimedia/ups/Student_centered_education_-_Analytical_Report.pdf
- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. http://erasmusplus.org.ge/files/publications/Strategic%20Development%20of%20HE%20and%20Science%20in%20Georgia%20-%20ge.pdf
- სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში. ანგარიში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2014. http://erasmusplus.org.ge/files/publications/PhD%20Quality%20Enhancement%20ge.pdf
- უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა. ანგარიში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2014 . http://erasmusplus.org.ge/files/publications/Student%20satisfaction%20survey%20-%20ge.pdf
- სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა. პრაქტიკული სახელმძღვანელო. დოქტ. დეკლან კენედი. 2006. თარგმანი. 2014. http://erasmusplus.org.ge/files/publications/Learning%20Outcomes%20ge.pdf
- Tempus & Erasmus Mundus საქართველოში. http://erasmusplus.org.ge/files/publications/Tempus%20and%20Erasmus%20Mundus%20in%20Georgia%20-%20overview%20-%20ge.pdf.
- გ. მჭედლიძე, ი. ბასილაძე. ქუთაისის პირველი უმაღლესი სასწავლებელი 80 წლისაა. აწსუ. ქუთაისი. 2014

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2015

ანგარიშის მომზადებაზე მუშაობდნენ:

ირმა გრძელიძე, ნატო ალავიძე, ნანა შარაბიძე, ციცინო თურქაძე, ნინო ალავიძე.